# საქართველოს კანონი

## „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 080240000.05.001.019099) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-19 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე–159-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე;

ე) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტს;“;

ბ) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები:

„ვ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე–163-ე და

$164^4$ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ;

ზ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე, 332-ე, 333-ე, 341-ე და $369^1$ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ ეს დანაშაული სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ამ პუნქტის „ა“–„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დანაშაულთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების მიმდინარეობისას გამოავლინა.“.

2. 23-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელი (გარდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსისა, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილისა) არის საჯარო მოსამსახურე. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება იმავე კანონით დადგენილი წესით, თუ ამ კანონით ან ამ კანონის საფუძველზე გამოცემული სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.“.

3. 29-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე გავრცელდეს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა, თუ აღნიშნული დანაშაულის ჩადენის გამო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტი დადგენილია 2022 წლის 28 თებერვლის შემდეგ.“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებულ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე–163-ე და $164^4$ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე გავრცელდეს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა, თუ ეს

დანაშაული ჩადენილია 2022 წლის 28 თებერვლის შემდეგ.

5. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში მითითებულ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე, 332-ე, 333-ე, 341-ე და $369^1$ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე გავრცელდეს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა, თუ ეს დანაშაული ჩადენილია 2022 წლის 28 თებერვლის შემდეგ.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

30 ნოემბერი 2022 წ.

N2198-IXმს-Xმპ